

საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
N 408 2002 წლის 22 სექტემბერი ქ.თბილისი

საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი
დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის,
რეექსპორტისა და ტრანზიტის საკითხთა გადაწყვეტის ზოგიერთ
ღონისძიებათა შესახებ

(24.08.2003 N413)

შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის (ტექნოლოგიების, მოწყობილობების, მომსახურების) საექსპორტო კონტროლის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივლისის N424 ბრძანებულების შესაბამისად ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის საკითხთა შემდგომი გადაწყვეტის მიზნით: *(24.08.2003 N413)*

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საერთაშორისო საკონტროლო სიებთან შესაბამისობაში მოყვანილი საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის თანდართული ნუსხა. *(10.06.2011 N 313)*

2. ამოღებულია *(10.06.2011 N 313)*

3. ამოღებულია *(17.11.2011 N 738)*

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად უზრუნველყოს საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის ევროკავშირის საბჭოს რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა. *(10.06.2011 N 313)*

ედუარდ შევარდნაძე

დებულება

ამოღებულია (10.06.2011 N 313)

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო ნებართვა

ამოღებულია (17.11.2011 N 738)

საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხა (10.06.2011 N 313)

- №1 დანართში მუქად მონიშნულ გრაფებში აღნიშნული პროდუქცია ექვემდებარება საექსპორტო კონტროლს და მათ ექსპორტსა და რეექსპორტზე ნებართვებს გაცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური. (17.11.2011 N 738)

- №2 დანართში მუქად მონიშნული პროდუქციის ექსპორტზე, იმპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური ნებართვებს გაცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. (17.11.2011 N 738)

- მუქად მოუნიშნავ, თეთრად დარჩენილ გრაფებში განყოფილებების, ჯგუფების, ქვეჯგუფებისა და სასაქონლო პოზიციების დასახელებები აღნიშნულია მხოლოდ ნუსხით სარგებლობის გასაადვილებლად.

- საქონლის იდენტიფიცირების მიზნით განმარტებები მოყვანილია ევროპის კავშირის საბჭოს დადგენილება (EC)N1334/2000-ის და (EC)N428/2009-ის დანართების შესაბამისად.

- სასაქონლო კოდები და მათი განმარტებები ეფუძნება „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზირებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2007 წლის რედაქციის შესაბამისად შემუშავებულ და „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებულ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურას (სეს ესნ).

დანართი №1(10.06.2011 N 313)	
ჯგუფი 28	
არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ძვირფასი ლითონების, იშვიათმიწიანი ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ან იზოტოპების არაორგანული ან ორგანული ნაერთები	
2804	წყალბადი, ინერტული აირები და სხვა არალითონები
2804 50 100 00	-- ბორი
2804 50 900 00	-- ტელური
2805	ტუტე ან ტუტემიწა ლითონები; იშვიათმიწიანი ლითონები, სკანდიუმი და იტრიუმი სუფთა სახით, ნარევებში ან შენადნობებში; ვერცხლისწყალი
2805 12 000 00	-- კალციუმი
2811	არაორგანული მჟავები დანარჩენი და არალითონების არაორგანული ჟანგბადშემცველი ნაერთები დანარჩენი
2811 11 000 00	-- წყალბადის ფთორიდი (ლხობის მჟავა)
2811 19 200 00	--- წყალბადის ციანიდი (წყალბადციანმჟავა)
2811 29 300 00	--- აზოტის ოქსიდები
2812	ჰალოგენიდები და ჰალოგენიდ ოქსიდები არალითონებისა
2813	არალითონების სულფიდები; ფოსფორის ტრისულფიდი ტექნიკური
2813 90 100 00	-- ფოსფორის სულფიდები, ფოსფორის ტრისულფიდი ტექნიკური

2818	ხელოვნური კორუნდი განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობისა; ალუმინის ოქსიდი; ალუმინის ჰიდროქსიდი
2818 20 000 00	– ალუმინის ოქსიდი, ხელოვნური კორუნდისაგან განსხვავებული
2825	ჰიდრაზინი და ჰიდროქსილამინი და მათი არაორგანული მარილები; არაორგანული ფუძეები დანარჩენი; ლითონების ოქსიდები, ჰიდროქსიდები და პეროქსიდები დანარჩენი
2825 10 000 00	– ჰიდრაზინი და ჰიდროქსილამინი და მათი არაორგანული მარილები
2825 60 000 00	– გერმანიუმის ოქსიდები და ცირკონიუმის დიოქსიდი
2825 90 200 00	-- ბერილიუმის ოქსიდი და ჰიდროქსიდი
2825 90 800 00	-- დანარჩენი
2826	ფთორიდები; ფთოროსილიკატები, ფთოროალუმინატები და ფთორის სხვა კომპლექსური მარილები
2827	ქლორიდები, ქლორიდ ოქსიდები და ქლორიდ ჰიდროქსიდები; ბრომიდები და ბრომიდ ოქსიდები, იოდიდები და იოდიდ ოქსიდები
2827 39	-- დანარჩენი
2827 39 100 00	--- კალის
2827 39 200 00	--- რკინის
2827 39 850 00	--- დანარჩენი
	– ქლორიდ ოქსიდები და ქლორიდ ჰიდროქსიდები
2827 49 900 00	--- დანარჩენი
2827 60 000 00	– იოდიდები და იოდიდ ოქსიდები
2829	ქლორატები და პერქლორატები; ბრომატები და პერბრომატები; იოდატები და პერიოდატები
2829 90 100 00	-- პერქლორატები
2830	სულფიდები; პოლისულფიდები განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შემადგენლობისა
2830 10 000 00	– ნატრიუმის სულფიდები
2830 90 850 00	-- დანარჩენი (თუთიის სულფიდი)
2833	სულფატები; შაბი; პეროქსოსულფატები (პერსულფატები)
2833 29 900 00	--- დანარჩენი
2834	ნიტრიტები; ნიტრატები
2834 29 800 00	--- დანარჩენი
2835	ფოსფინატები (ჰიპოფოსფიტები), ფოსფონატები (ფოსფიტები) და ფოსფატები; პოლიფოსფატები განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შემადგენლობისა
2835 29	-- დანარჩენი
2835 29 100 00	--- ტრიამონიუმისა
2835 29 800 00	--- დანარჩენი
2836	კარბონატები; პეროქსოკარბონატები (პერკარბონატები); ამონიუმის კარბონატი ტექნიკური, ამონიუმის კარბამატის შემცველობით
	--- კარბონატები
2836 99 110 00	---- მაგნიუმის; სპილენძის
2836 99 170 00	---- დანარჩენი
2839	სილიკატები; ტუტე ლითონების სილიკატები ტექნიკური
	– ნატრიუმის
2839 11 000 00	-- ნატრიუმის მეტასილიკატები
2839 19 000 00	-- დანარჩენი
2839 90 000 00	– დანარჩენი

2841	ოქსოლითონური ან პეროქსოლითონური მჟავების მარილები
2841 90 850 00	-- დანარჩენი
2842	არაორგანული მჟავებისა ან პეროქსიდმჟავების მარილები (განსაზღვრული და განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის ალუმოსილიკატების ჩათვლით), აზიდების გარდა, დანარჩენი
2842 90 100 00	-- მარილები, ორმაგი მარილები ან კომპლექსური მარილები სელენისა ან ტელურის მჟავებისა
2842 90 800 00	-- დანარჩენი
2845	იზოტოპები, 2844 სასაქონლო პოზიციის იზოტოპების გარდა; ამ იზოტოპების არაორგანული ან ორგანული ნაერთები, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობისა
2845 90 900 00	-- დანარჩენი
<p>იგულისხმება:</p> <p>ა) ბორი, რომელიც ბორ 10 (10B) იზოტოპით გამდიდრებულია იზოტოპთა ბუნებრივი გავრცელების დონის ზემოთ, როგორცაა:</p> <p>ელემენტარული ბორი, ბორის შემცველი ნაერთები და ნარევი, მათი ნაკეთობები, რომელიმე აღნიშნულის ნარჩენები და ჩამონატეხები</p> <p>(ტექნიკური შენიშვნა: ბორ 10 იზოტოპის გავრცელება ბუნებაში მიახლოებით შეადგენს 18.5 წონით პროცენტს (20 ატომურ პროცენტს)). ბ) ჰელიუმ-3 (^3He), ჰელიუმ-3-ის შემცველი ნარევი და რომელიმე აღნიშნულის შემცველი პროდუქცია ან ხელსაწყოები</p> <p>(არ იგულისხმება პროდუქცია, რომელიც შეიცავს 1 გ-ზე ნაკლები მასის ჰელიუმ-3-ს)</p>	
2848 00 000 00	ფოსფიდები, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის, ფეროფოსფორის გარდა
2849	კარბიდები, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის
2850 00	ჰიდრიდები, ნიტრიდები, აზიდები, სილიციდები და ბორიდები, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობისა, ნაერთების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ 2849 სასაქონლო პოზიციის კარბიდებს
2853 00	არაორგანული ნაერთები დანარჩენი (დისტილირებული ან კონდუქტომეტრული წყლისა და ანალოგიური სისუფთავის წყლის ჩათვლით); თხევადი ჰაერი (ინერტული აირების მოცილებით ან მოუცილებლად); შეკუმშული ჰაერი; ამაღამები, ძვირფასი ლითონების ამაღამების გარდა
2853 00 500 00	- ქლოროვანი ციანი
ჯგუფი 29	
ორგანული ქიმიური ნაერთები	
2905	სპირტები აციკლური და მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები
2905 19 000 00	-- დანარჩენი
2909	ეთერები მარტივი, ეთერსპირტები, ეთერფენოლები, ეთერსპირტფენოლები, სპირტების, მარტივი ეთერებისა და კეტონების პეროქსიდები (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის) და მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები
	- ეთერები მარტივი აციკლური და მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები
2909 11 000 00	-- დიეთილის ეთერი მარტივი
2909 19 000 00	-- დანარჩენი
<p>იგულისხმება სითხეები და საპოხი მასალები, როგორცაა: ჰიდრაზლიკური სითხეები, რომლებიც ძირითად ინგრედიენტებად შეიცავენ სინთეტიკურ სილაჰიდროკარბონულ ზეთებს.</p>	

სილაჰიდროკარბონული ზეთები, რომლებიც გამოიყენებიან აღნიშნული მიზნისათვის, შეიცავენ მხოლოდ სილიციუმს, წყალბადს და ნახშირბადს.

2909 30	- ეთერები მარტივი არომატული და მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები
2909 30 100 00	-- დიფენილის ეთერი მარტივი
	-- ბრომირებული წარმოებულები
2909 30 310 00	--- პენტაბრომდიფენილური ეთერი მარტივი; 1,2,4,5-ტეტრაბრომ-3,6-ბის (პენტაბრომდენოქსი) ბენზოლი
2909 30 350 00	--- 1,2-ბის (2,4,6-ტრიბრომდენოქსი) ეთანი აკრილონიტრილბუტადიენსტიროლის (ABS) წარმოებისათვის
2909 30 380 00	--- დანარჩენი
2909 30 900 00	-- დანარჩენი

იგულისხმება საპოხი მასალები, რომლებიც ინგრედიენტებად შეიცავენ რომელიმე შემდეგ ნაერთს ან მასალას:

1. ფენილურ ან ალკილფენილურ ეთერებს ან თიოეთერებს, ან მათ ნარევეს, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ ამ დანიშნულების ეთერულ ან თიოეთერულ ფუნქციას, ან მათ ნარევს;
2. ფტორირებულ სილიკონურ სითხეებს 5000 მმ2/წმ-ზე (5000 სანტისტოქსზე) ნაკლები კინემატიკური სიბლანტით, რომელიც გაზომილია 298 კ-ზე (25 °C-ზე).

2914 კეტონები და ქინონები, სხვა ჟანგბადმემცველი ფუნქციონალური ჯგუფის შემცველობით ან მათ გარეშე, და მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები

2914 19	-- დანარჩენი
2914 19 900 00	--- დანარჩენი (პინაკოლინი (75-97-8))

2915 მჟავები აციკლური მონოკარბონული ნაჯერი და მათი ანჰიდრიდები, ჰალოგენანჰიდრიდები, პეროქსიდები და პეროქსიმჟავები; მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები

	- ძმარმჟავა და მისი მარილები; ძმრის ანჰიდრიდი
2915 21 000 00	-- ძმარმჟავა
2915 24 000 00	-- ძმრის ანჰიდრიდი
2915 29 000 00	-- დანარჩენი

2916 მჟავები აციკლური მონოკარბონული უჯერი, მჟავები ციკლური მონოკარბონული, მათი ანჰიდრიდები, ჰალოგენანჰიდრიდები, პეროქსიდები და პეროქსიმჟავები; მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები

	- არომატული მონოკარბონმჟავები, მათი ანჰიდრიდები, ჰალოგენანჰიდრიდები, პეროქსიდები, პეროქსიმჟავები და მათი წარმოებულები
2916 39 000 00	-- დანარჩენი

იგულისხმება ტოქსიკური ქიმიკატები, როგორცაა: (29163300000-დიეთილ მეთილფოსფონიტი (15715 41 0)).

2920 არალითონების დანარჩენი არაორგანული მჟავების რთული ეთერები (გარდა ჰალოგენწყალბადების რთული ეთერებისა) და მათი მარილები; მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები

	- ეთერები თიოფოსფორისა რთული (ფოსფორთიოატები) და მათი მარილები; მათი ჰალოგენირებული, სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები
2920 90 200 00	-- ფოსფოროვანი მჟავას დიმეთილური ეთერი (დიმეთილფოსფიტი)

2920 90 300 00	-- ტრიმეთილფოსფიტი (ტრიმეთოქსიფოსფინი)
2920 90 850 00	-- დანარჩენი ნაერთები
2921	ნაერთები ამინის ფუნქციურ ჯგუფებთან
2921 11 900 00	--- მარილები
2921 19 800 00	--- დანარჩენი
2921 44 000 00	-- დიფენილამინი და მისი წარმოებულები; ამ ნაერთების მარილები
2922	ამინონაერთები, ჟანგბადშემცველი ფუნქციური ჯგუფის შემცველი
2922 13	-- ტრიეთანოლამინი და მისი მარილები
2922 13 100 00	--- ტრიეთანოლამინი
2922 13 900 00	--- ტრიეთანოლამინის
2922 19	-- დანარჩენი
2922 19 100 00	--- N-ეთილდიეთანოლამინი
2922 19 200 00	--- 2,2'-მეთილიმინოდიეთანოლ (N-მეთილდიეთანოლამინი)
2922 19 800 00	--- დანარჩენი
2925	ნაერთები, ფუნქციური კარბოქსიმიდული ჯგუფის შემცველი (საქარინისა და მისი მარილების ჩათვლით) და ნაერთები, ფუნქციური იმინური ჯგუფის შემცველი
2925 19 950 00	--- დანარჩენი (ბისმალეიმიდები)
2930	გოგირდორგანული ნაერთები
2930 90 850 00	-- დანარჩენი
<p>იგულისხმება საპოხი მასალები, რომლებიც ინგრედიენტებად შეიცავენ რომელიმე შემდეგ ნაერთს ან მასალას:</p> <p>1. ფენილინურ ან ალკილფენილინურ ეთერებს ან თიოეთერებს, ან მათ ნარევეს, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ ამ დანიშნულების ეთერულ ან თიოეთერულ ფუნქციას ან მათ ნარევეს; ტოქსიკური ქიმიკატები, როგორცაა:</p> <p>1. ამიტონი: O,O დიეთილ S [2 (დიეთილამინო)ეთილ] ფოსფო-როთიოლატი (78 53 5) და შესაბამისი ალკილატიდი ან პროტონირებული მარილები; პფტპ: 1,1,3,3,3 პენტფტორო 2 (ტრიფტორომეთილ) 1 პროპენი (382 21 8).</p>	
2931 00	ორგანულ-არაორგანული ნაერთები დანარჩენი
2931 00 100 00	- დიმეთილმეთილფოსფონატი
2931 00 200 00	- მეთილფოსფონოილდიფთორიდი (მეთილფოსფონმჟავას დიფთორანჰიდრიდი)
2931 00 950 00	- დანარჩენი
<p>იგულისხმება:</p> <p>ა) სარაკეტო საწვავის სხვა დანამატები და აგენტები: ფეროცენის დერივატები (წარმოებულები);</p> <p>ბ) მეთილ ფოსფონილ დიქლორიდი (676 97 1); ეთილ ფოსფონილ დიქლორიდი (1498 40 4); ეთილ ფოსფონილ დიქლორიდი (1066 50 8); ეთილ ფოსფონილ დიფტორიდი (753 98 0); ეთილ 2 დიიზოპროპილამინოეთილ მეთილ ფოსფონიტისათვის (57856 11 8).</p>	
2933	ნაერთები ჰეტეროციკლური, მხოლოდ აზოტის ჰეტეროატომის (ების) შემცველობით
2933 39 990 00	--- დანარჩენი
ჯგუფი 30	
ფარმაცევტული პროდუქცია	
3002	სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა, მომზადებული თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნებით გამოსაყენებლად; იმუნური შრატები და სისხლის დანარჩენი ფრაქციები და მოდიფიცირებული იმუნოლოგიური პროდუქტები, მათ შორის მიღებული ბიოტექნოლოგიური გზით; ვაქცინები, ტოქსინები, მიკროორგანიზმების კულტურები (საფუარების გარდა) და ანალოგიური პროდუქტები

3002 90 500 00	-- მიკროორგანიზმების კულტურები
იგულისხმება ადამიანის პათოგენები, ზოონოზები და ტოქსინები, როგორცაა: ვირუსები, პარტახტიანი ტიფი, ბაქტერიები, როგორც ბუნებრივი, გაძლიერებული ან მოდიფიცირებული, ისე იზოლირებული ცოცხალი კულტურების ფორმით ან როგორც მასალა, იმ მკვებაში გარემოს ჩათვლით, რომელიც წინასწარგანზრახვით იქნა აცრილი ან დაბინძურებული ამგვარი კულტურებით, ტოქსინები და ამგვარი ტოქსინების ქვედანაყოფები.	
3002 90 900 00	-- დანარჩენი
იგულისხმება ტოქსინები და ამგვარი ტოქსინების ქვედანაყოფები, როგორცაა: 1. ბოტულინის ტოქსინები; 2. კლოსტრიდის პერფრინგენის ტოქსინები; 3. ქონოტოქსინი; 4. რიცინი; 5. საქსიტოქსინი; 6. შაგის ტოქსინი; 7. სტაფილოკოკური ოქროსფერი ტოქსინები; 8. ტეტროდოტოქსინი; 9. უროტოქსინი; 10. მიკროციტინი (ცინანგინოსინი); 11. აფლატოქსინები.	
ჯგუფი 38	
დანარჩენი ქიმიური პროდუქტები	
3801	გრაფიტი ხელოვნური; გრაფიტი კოლოიდური ან ნახევრადკოლოიდური; პროდუქტები, მიღებული გრაფიტისა ან დანარჩენი ნახშირბადის ფუძეზე, პასტების, ბლოკების, ფირფიტებისა და დანარჩენი ნახევარფაბრიკატების სახით
3801 10 000 00	– გრაფიტი ხელოვნური
3801 20	– გრაფიტი კოლოიდური ან ნახევრადკოლოიდური
3801 20 100 00	-- გრაფიტი კოლოიდური ზეთში სუსპენზიის სახით; გრაფიტი ნახევრადკოლოიდური
3801 20 900 00	-- დანარჩენი
3801 30 000 00	– პასტები ნახშირბადოვანი ელექტროდებისათვის და ანალოგიური პასტები ღუმელების ამოსაგებად
3801 90 000 00	– დანარჩენი
იგულისხმება ბირთვული ხარისხის გრაფიტი, რომელსაც აქვს სისუფთავის დონე, მილიონზე 5 წილი ბორის ეკვივალენტი და 1.5 გ/სმ ³ -ზე მეტი სიმკვრივე.	
3815	რეაქციების ინიციატორები, რეაქციების დამაჩქარებლები და კატალიზატორები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
	– კატალიზატორები მატარებლებზე
3815 11 000 00	-- აქტიური კომპონენტის სახით ნიკელისა ან მისი შენაერთების შემცველი
3815 12 000 00	-- აქტიური კომპონენტის სახით ძვირფასი ლითონებისა ან მათი შენაერთების შემცველი
იგულისხმება პლატინიზებული კატალიზატორები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მომზადებული წყალბადსა და წყალს შორის იზოტოპების, გაცვლის რეაქციის ხელშესაწყობად, მძიმე წყლიდან ტრიტიუმის აღსადგენად ან მძიმე წყლის წარმოებისათვის.	
3815 19	-- დანარჩენი
იგულისხმება მასალები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი, როგორც ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმელები ანდა პოლიმერები საკუთარი ელექტროგამტარობით, როგორცაა მასალები, რომლებიც განკუთვნილია 2 x 108 ჰც-ზე მაღალი, მაგრამ 3 x 1012 ჰც-ზე დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმისათვის; მასალები, რომლებიც განკუთვნილი არიან 1.5 x	

1014 ჰე-ზე მაღალი, მაგრამ 3.7 x 1014 ჰე-ზე დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმისათვის, და გაუმჭვირვალე არიან ხილული სინათლისათვის.	
3818 00	ელემენტები ქიმიური ლეგირებული, ელექტრონიკაში გამოსაყენებლად განკუთვნილი, დისკების, ფირფიტებისა ან ანალოგიური ფორმების სახით; ნაერთები ქიმიური ლეგირებული, ელექტრონიკაში გამოსაყენებლად განკუთვნილი
3818 00 900 00	– დანარჩენი
იგულისხმება ჰეტეროეპიტაქსიალური მასალები, რომლებიც შედგენილი არიან საფენისაგან, და რომლებიც წარმოადგენენ მრავალ ერთმანეთზე დალაგებულ ეპიტაქსიალურად გაზრდილ ფენებს, რომელიმე შემდეგი მასალისა: ა. სილიციუმი; ბ. გერმანიუმი; გ. გალიუმის ან ინდიუმის III/V ნაერთები.	
3819 00 000 00	სითხეები სამუხრუჭე ჰიდრავლიკური და სითხეები მზა სხვა ჰიდრავლიკური გადაცემებისათვის, ნავთობისა და ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების შემცველობის გარეშე ან 70 მას.%-ზე ნაკლები შემცველობით
იგულისხმება სითხეები და საპოხი მასალები, როგორცაა: ჰიდრავლიკური სითხეები, რომლებიც ძირითად ინგრედიენტებად შეიცავენ სინთეტიკურ სილაჰიდროკარბონულ ზეთებს, შეიცავენ მხოლოდ და მხოლოდ სილიციუმს, წყალბადს და ნახშირბადს; ქლოროფტოროკარბონებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ნახშირბადს, ფტორს ან ქლორს.	
ჯგუფი 39	
პლასტმასები და მათი ნაწარმი	
3904	ვინილქლორიდისა ან დანარჩენი ჰალოგინირებული ოლეფინების პოლიმერები პირველადი ფორმით
3904 69	--- დანარჩენი
3904 69 100 00	--- პოლივინილფთორიდი მოცემული ჯგუფის 6 ბ) შენიშვნაში მოხსენიებული ერთ-ერთი ფორმით
3904 69 900 00	--- დანარჩენი
იგულისხმება საამორტიზაციო ან ფლოტაციური სითხეები 99.8 %-ზე მაღალი სისუფთავით, რომელთა 100 მლ-ში 200 მკმ ან უფრო დიდი ზომის ნაწილაკთა რაოდენობა 25-ზე ნაკლებია, და რომლებიც დამზადებული არიან, სულ მცირე, 85 %-ით შემდეგი ნაერთების ან მასალებისაგან: 1. დიბრომოტეტრაფტორეთანისაგან; 2. პოლიქლოროტრიფტორეთილინისაგან (იგულისხმება მხოლოდ ზეთისებრი ან ცვილისებრი მოდიფიკაციები).	
3907	პოლიაცეტალები, დანარჩენი მარტივი პოლიეთერები და ეპოქსიდის ფისები პირველადი ფორმით; პოლიკარბონატები, ალკიდის ფისები, რთული პოლიალილის ეთერები და დანარჩენი რთული პოლიეთერები პირველადი ფორმით
3907 20 910 00	--- 1-ქლორ-2,3-ეპოქსიპროპანისა და ეთილენის ოქსიდის თანაპოლიმერი
	– პოლიეთერები რთული დანარჩენი
3907 91	--- უჯერი
3907 91 100 00	--- თხევადი
3907 91 900 00	--- დანარჩენი
იგულისხმება არაფტორირებული პოლიმერული ნივთიერებები, როგორცაა: არომატული პოლიეთერიმიდები, თერმოპლასტიკური თხევად-კრისტალური თანაპოლიმერები, პოლიარილინური ეთერის კეტონები.	
3907 99 990 00	---- დანარჩენი (პოლიარილინური კეტონები)
3908	პოლიამიდები პირველადი ფორმით

3908 90 000 00	- დანარჩენი (არომატული პოლიამიდიმიდეები)
3909	ამინოალდეჰიდური ფისები, ვენოლალდეჰიდური ფისები და პოლიურეთანები პირველადი ფორმით
3909 30 000 00	- ამინოალდეჰიდური ფისები დანარჩენი
იგულისხმება საკუთარი ელექტროგამტარობის მქონე პოლიმერული მასალები 10000 სიმ/მ-ზე (სიმენსი მეტრზე) მეტი მოცულობითი ელექტრული გამტარობით ან 100 ომ/კვადრატზე (ომი კვადრატზე) ნაკლები ფურცლის (ზედაპირული) წინაღობით, რომლებიც დამზადებული არიან პოლიანილინის ფუძეზე.	
3910 00 000 00	სილიკონები პირველადი ფორმით
3911	ნავთობის ფისები, კუმარონინდენის ფისები, პოლიტერპენები, პოლისულფიდები, პოლისულფონები და დანარჩენი პროდუქტები, მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში მითითებული, პირველადი ფორმებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
3911 90 990 00	--- დანარჩენი
იგულისხმება საკუთარი ელექტროგამტარობის მქონე პოლიმერული მასალები 10000 სიმ/მ-ზე (სიმენსი მეტრზე) მეტი მოცულობითი ელექტრული გამტარობით ან 100 ომ/კვადრატზე (ომი კვადრატზე) ნაკლები ფურცლის (ზედაპირული) წინაღობით, რომლებიც დამზადებული არიან პოლიპიროლის, პოლითიოფინის, პოლიფენილინ-ვინილინის ფუძეზე.	
3919	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა, ლენტები, ზოლები და დანარჩენი ბრტყელი ფორმები, თვითწებვადი, რულონებად ან არარულონებად
3919 90 900 00	--- დანარჩენი
იგულისხმება კომპონენტები, რომლებიც დამზადებული არიან ფტორირებული ნაერთებისაგან, როგორცაა: ა. შემამჭიდროებლები, შუასადებები, იზოლაცია ან სათბობით სავსე ბუშტები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი საჰაერო ხომალდებზე და კოსმოსში გამოსაყენებლად, და დამზადებული არიან 50% წონითი წილით ან მეტით დაუმუშავებელი ფტორირებული ნაერთებისაგან; ბ. პიეზოელექტრიკული პოლიმერები და თანაპოლიმერები, რომლებიც დამზადებული არიან ვინილიდ-ფტორიდული მასალებისაგან: 1. ფურცლის ან ფირის ფორმით; 2. 200 მკმ-ზე (მიკრონი = მკმ = 10 ⁻⁶ მ) სქელი; გ. შემამჭიდროებლები, შუასადებები, სარქველთა ბუდეები, იზოლაცია ან დიაფრაგმები, რომლებიც დამზადებულია ისეთი ფტორლასტომერებისაგან, რომლებიც შემადგენელ ერთეულად შეიცავენ, სულ მცირე, ერთ ვინილეთერულ ჯგუფს; და რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი საჰაერო ხომალდზე, კოსმოსში ან რაკეტაზე გამოსაყენებლად. საკუთარი ელექტროგამტარობის მქონე პოლიმერული მასალები 10000 სიმ/მ-ზე (სიმენსი მეტრზე) მეტი მოცულობითი ელექტრული გამტარობით ან 100 ომ/კვადრატზე (ომი კვადრატზე) ნაკლები ფურცლის (ზედაპირული) წინაღობით, რომლებიც დამზადებული არიან პოლითიენილინ-ვინილინისაგან.	
3920	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები და ზოლები ან ლენტები, დანარჩენი, უფორბო და დაუარმატურებელი, არამრეული, ფუძემრის გარეშე და სხვა მასალებთან ანალოგიური წესით შეუერთებული
3920 99 900 00	--- დანარჩენი
იგულისხმება არაფტორირებული პოლიმერული ნივთიერებები ფირის, ფურცლის, ლენტის ან ზონრის ფორმით, რომელიმე შემდეგი მახასიათებლით: ა. აქვთ 0.254 მმ-ზე მეტი სისქე; ბ. დაფარული ან ლამინირებული არიან ნახშირბადით, გრაფიტით, მეტალით ან მაგნიტური ნივთიერებებით.	
3921	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები, დანარჩენი:

3921 90 900 00	-- დანარჩენი
<p>იგულისხმება სინთეტური ქაფმასალა, რომელიც შექმნილია წყალქვეშ გამოყენებისათვის და აქვს ყველა შემდეგი მახასიათებელი:</p> <p>ა. შექმნილია 1000 მ-ზე მეტი ზღვის სიღრმეებისათვის;</p> <p>ბ. მისი სიმკვრივე 561 კგ/მ³-ზე ნაკლებია.</p>	
3926	პლასტმასის დანარჩენი ნაწარმი და 3901-3914 სასაქონლო პოზიციების დანარჩენი მასალების ნაწარმი
3926 90 980 00	--- დანარჩენი
<p>იგულისხმება სპეციალურად შექმნილი კომპონენტები, სისტემები და კონსტრუქციები კოსმოსში გაშვების საშუალებების ან კოსმოსური ხომალდების გადაადგილების სისტემებისათვის (ძრავებისათვის), როგორცაა:</p> <p>კომპონენტები და კონსტრუქციები, თითოეული 10 კგ-ზე მძიმე, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი კოსმოსში გაშვების ისეთი საშუალებებისათვის, რომლებიც დამზადებული არიან მეტალური მატრიცის, კომპოზიტის, ორგანული კომპოზიტის, კერამიკული მატრიცის ან ინტერმეტალური არმირებული მასალების გამოყენებით.</p>	
ჯგუფი 40	
კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი	
4002	სინთეზური კაუჩუკი და ფაქტისი, მიღებული ზეთებისაგან, პირველადი ფორმით ან ფირფიტების, ფურცლების, ზოლებისა ან ლენტების სახით; 4001 სასაქონლო პოზიციის ნებისმიერი პროდუქტის ნარევი მოცემული სასაქონლო პოზიციის ნებისმიერ პროდუქტთან, პირველადი ფორმით ან ფირფიტების, ფურცლების, ზოლებისა ან ლენტების სახით
4002 20 000 00	- ბუტადიენის კაუჩუკი (BR)
<p>იგულისხმება სარაკეტო საწვავი და სარაკეტო საწვავის შემადგენელი ქიმიკატები, როგორცაა: პოლიმერული ნივთიერებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კარბოქსით დაბოლოებული პოლიბუტადიენი; 2. ჰიდროქსით დაბოლოებული პოლიბუტადიენი; 3. პოლიბუტადიენ აკრილის მჟავა. 	
4002 59 000 00	-- დანარჩენი
<p>იგულისხმება სარაკეტო საწვავი და სარაკეტო საწვავის შემადგენელი ქიმიკატები, როგორცაა: პოლიბუტადიენ აკრილის მჟავა - აკრილონიტრილი.</p>	
ჯგუფი 54	
ქიმიური ძაფები	
5402	ძაფები კომპლექსური სინთეზური (საკერავი ძაფების გარდა), დაუფასოებელი საცალო ვაჭრობისათვის, სინთეზური მონოძაფების ჩათვლით წირითი სიმკვრივით 67 დტექს-ზე ნაკლები
5402 11 000 00	-- არამიდებისაგან
5402 20 000 00	- მაღალი სიმტკიცის ძაფები პოლიეთერული
	- ტექსტურირებული ძაფები
5402 31 000 00	-- ნაილონისა ან სხვა პოლიამიდებისაგან, ერთწვერა ძაფის ხაზოვანი სიმჭიდროვით არა უმეტეს 50 ტექსისა
5402 32 000 00	-- ნაილონისა ან სხვა პოლიამიდებისაგან, ცალმაგი ძაფის წირითი სიმკვრივით 50 ტექს-ზე მეტი
5402 33 000 00	-- პოლიეთერის
5402 34 000 00	-- პოლიპროპილენისაგან
5402 39 000 00	-- დანარჩენი
5404	მონოძაფები სინთეზური წირითი სიმკვრივით 67 დტექსი ან მეტი და განივი კვეთის ზომით არა უმეტეს 1 მმ-ისა; ბრტყელი და ანალოგიური ძაფები (მაგალითად, ხელოვნური ჩალა) სინთეზური ტექსტილის

	მასალებისაგან სიგანით არა უმეტეს 5 მმ-ისა
	– მონომაფები
5404 11 000 00	-- ელასტომერული
5404 12 000 00	-- დანარჩენი პოლიპროპილენისაგან
5404 19 000 00	-- დანარჩენი
5404 90	– დანარჩენი
	-- პოლიპროპილენისაგან
5404 90 110 00	--- დეკორატიული ბრტყელი ძაფები, საფუთავად გამოსაყენებელი
5404 90 190 00	--- დანარჩენი
5404 90 900 00	-- დანარჩენი
ჯგუფი 55	
ქიმიური ბოჭკოები	
5501	სინთეზური ძაფების ჩალიჩი
5501 10 000 00	– ნაილონისა ან დანარჩენი პოლიამიდებისაგან
5501 20 000 00	– პოლიეთერის
5501 30 000 00	– აკრილური ან მოდაკრილის
5501 40 000 00	– პოლიპროპილენის
5501 90 000 00	– დანარჩენი
5503	ბოჭკოები სინთეზური, კარდ- და სავარცხნ-დაუჩეჩავი ან დართვისათვის სხვა მომზადების გარეშე
	– ნაილონისა ან დანარჩენი პოლიამიდებისაგან
5503 11 000 00	-- არამიდებისაგან
5503 19 000 00	-- დანარჩენი
5503 20 000 00	– პოლიეთერის
5503 30 000 00	– აკრილისა ან მოდაკრილის
5503 40 000 00	– პოლიპროპილენის
5503 90	– დანარჩენი
5503 90 100 00	-- ქლორინის ბოჭკოები
5503 90 900 00	-- დანარჩენი
ჯგუფი 62	
ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნოები, გარდა ტრიკოტაჟისაგან, მანქანით ან ხელით ნაქსოვი	
6204	კოსტიუმები, კომპლექტები, ჟაკეტები, ბლაიზერები, კაბები, ქვედატანები, ქვედატანი-შარვლები, შარვლები, გულსაფრიანი და თასმებიანი კომბინეზონები, ბრიჯები და შორტები (საბანაოს გარდა), ქალისა ან გოგონებისათვის
6204 29 900 00	--- დანარჩენი
იგულისხმება დაცვისა და აღმოჩენის მოწყობილობა და მისი კომპონენტები, როგორცაა: დამცავი კოსტიუმები, ხელთათმანები და ფეხსაცმელი, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მოდიფიცირებული ბიოლოგიური აგენტების ან ომში გამოყენებისათვის ადაპტირებული რადიოაქტიური მასალების ან ქიმიური ომის (ქო) აგენტებისაგან თავდასაცავად; ჯავშანყოლები და ამ დანიშნულების სპეციალური კომპონენტები, რომლებიც განსხვავებულია სამხედრო სტანდარტების ან მოთხოვნების შესაბამისად წარმოებული პროდუქციისაგან, ან (მოქმედების მიხედვით) მათი ეკვივალენტებისგან.	
6216 00 000 00	ხელთათმანები, ხელჯაგები და უთითო თათმანები
იგულისხმება დაცვისა და აღმოჩენის მოწყობილობა და მისი კომპონენტები, როგორცაა: დამცავი კოსტიუმები, ხელთათმანები და ფეხსაცმელი, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მოდიფიცირებული ბიოლოგიური აგენტების ან ომში გამოყენებისათვის ადაპტირებული	

რადიოაქტიური მასალების ან ქიმიური ომის აგენტებისაგან თავდასაცავად.	
6405	ფეხსაცმელი დანარჩენი
6405 90	– დანარჩენი
იგულისხმება დაცვისა და აღმოჩენის მოწყობილობა და მისი კომპონენტები, როგორცაა: დამცავი კოსტიუმები, ხელთათმანები და ფეხსაცმელი, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მოდიფიცირებული ბიოლოგიური აგენტების ან ომში გამოყენებისათვის ადაპტირებული რადიოაქტიური მასალების ან ქიმიური ომის აგენტებისაგან თავდასაცავად.	
ჯგუფი 68	
ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, ქარსის ან ანალოგიური მასალების ნაწარმი	
6815	ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნაწარმისა და ტორფის ნაწარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
6815 10 100 00	– ნახშირბადიანი ბოჭკოები და მათი ნაწარმი
6815 99 100 00	– ცეცხლგამძლე მასალებისაგან, ქიმიური შემკვრელი ნივთიერებებით
6815 99 900	– დანარჩენი
6815 99 900 01	– სხვადასხვა დანიშნულების როვინგი ბაზალტის ბოჭკოს კომპლექსური ძაფებისაგან
6815 99 900 02	– სხვადასხვა ქსოვილი ბაზალტის ძაფებისაგან
6815 99 900 03	– სხვადასხვა დანიშნულების ქეჩა უქსოვადი ბაზალტის ბოჭკოსა და კომბინირებული დანამატებისაგან
6815 99 900 04	– სხვადასხვა დანიშნულების ბაზალტპლასტიკური ნაკეთობები
6815 99 900 09	– დანარჩენი
ჯგუფი 69	
კერამიკული ნაწარმი	
6903	დანარჩენი ცეცხლგამძლე კერამიკული ნაწარმი (მაგალითად, რეტორტები, ტიგლები, მუფელები, საცმები, სახშობები, საყრდენები, სინჯარული ფინჯანები, მილები, მილაკები, გარსაცმები, წნელები, ღერძები), გარდა კაჟმიწოვანი ქვის ფქვილისა ან ანალოგიური კაჟმიწოვანი ქანების ნაწარმისა
6914	დანარჩენი კერამიკული ნაწარმი
6914 10 000 00	– ფაიფურის
6914 90	– დანარჩენი
6914 90 100 00	– ჩვეულებრივი კერამიკის
6914 90 900 00	– დანარჩენი
6914 90 900 00	– დანარჩენი
ჯგუფი 70	
მინა და მისი ნაწარმი	
7001 00 910 00	– ოპტიკური მინა
7019	ბოჭკოვანი მინა (მინის ბამბის ჩათვლით) და მისი ნაწარმი (მაგალითად, ნართი, ქსოვილები)
7019 11 000 00	– შტაპელირებული ბოჭკო სიგრძით არა უმეტეს 50 მმ-ისა
7019 19	– დანარჩენი
7019 19 100 00	– ძაფებისაგან
7019 19 900 00	– ბოჭკოებისაგან
7020 00 800 00	– დანარჩენი
ჯგუფი 71	
მარგალიტი ბუნებრივი ან კულტივირებული, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ძვირფასი	

ლითონები, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიჟუტერია; მონეტები	
7103	ძვირფასი (ალმასების გარდა) და ნახევრადძვირფასი ქვები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი, დახარისხებული ან დაუხარისხებელი, მაგრამ აუსხმელი, ბუდეში ჩაუსმელი და დაუმაგრებელი; დაუხარისხებელი ძვირფასი ქვები (ალმასების გარდა) და ნახევრადძვირფასი ქვები, დროებით ასხმული ტრანსპორტირების გასაადვილებლად
7103 10 000 00	– დაუმუშავებელი ან უბრალოდ დახერხილი, დამტვრეული ან უხეშად დამუშავებული
7104	ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, ხელოვნური ან რეკონსტრუირებული, დამუშავებული ან დაუმუშავებელი, დახარისხებული ან დაუხარისხებელი, მაგრამ აუსხმელი, ბუდეში ჩაუსმელი და დაუმაგრებელი; დაუხარისხებელი ხელოვნური ან რეკონსტრუირებული ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვები, დროებით ასხმული ტრანსპორტირების გასაადვილებლად
7104 90 000 00	– დანარჩენი
იგულისხმება ოპტიკური მასალები, როგორცაა სინთეტურად დამზადებული ალმასის მასალა, 10-5 სმ-1 -ზე ნაკლები შთანთქმით, 200 ნმ-დან 14000 ნმ-მდე სიგრძის ტალღებზე.	
7105	ნახევანი და ფხვნილი ბუნებრივი ან ხელოვნური ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვებისაგან
7105 10 000 00	– ალმასების
იგულისხმება ოპტიკური მასალები, როგორცაა სინთეტურად დამზადებული ალმასის მასალა, 10-5 სმ-1 -ზე უფრო ნაკლები შთანთქმით, 200 ნმ-დან 14000 ნმ-მდე სიგრძის ტალღებზე.	
ჯგუფი 72	
შავი ლითონები	
7206	რკინა და არალეგირებული ფოლადი ზოდებში ან სხვა პირველად ფორმებში (7203 სასაქონლო პოზიციის რკინის გარდა)
7218	ფოლადი კოროზიამდეეგი ზოდებში ან სხვა პირველად ფორმებში; ნახევარფაბრიკატები კოროზიამდეეგი ფოლადისაგან
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდეეგი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი
7220	ნაგლინი ბრტყელი კოროზიამდეეგი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ-ზე ნაკლები
7222	წნელები კოროზიამდეეგი ფოლადისაგან დანარჩენი; კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები კოროზიამდეეგი ფოლადისაგან
7229	მავთული დანარჩენი ლეგირებული ფოლადებისაგან
ჯგუფი 73	
შავი ლითონების ნაწარმი	
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონებისაგან (თუჯის სხმულების გარდა)
იგულისხმება წნევაგამძლე მილები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მომზადებული ბირთვულ რეაქტორში საწვავი ელემენტებისა და პირველადი მაცივებელი აგენტის შესატანად 5.1 მგპა-ზე (მგპა = მეგაპასკალი) მაღალ წნევაზე მუშაობის დროს; მოწყობილობები და კომპონენტები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი ან მომზადებული იზოტოპების ქიმიური გაცვლით სეპარაციის (განცალკევების) პროცესისათვის.	
7309 00	რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისთვის (შეკუმშული და გათხევადებული აირის გარდა), 300 ლ და მეტი ტევადობისა, მოპირკეთებით ან თერმოიზოლაციით, ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური მოწყობილობების გარეშე
იგულისხმება:	

	<p>ა) დისოლვერები, კრიტიკულად უსაფრთხო რეზერვუარები (მაგალითად, მცირე დიამეტრის წრიული ან პანელური რეზერვუარები), სპეციალურად შექმნილი ან დამზადებული ბირთვული რეაქტორის დასხივებული საწვავის გასახსნელად, რომლებსაც შეუძლია გაუძლოს ცხელ, ძალზე კოროზიულ სითხეებს და რომლებშიც შესაძლებელია დისტანციურად ხორციელდებოდეს ჩატვირთვა და მომსახურება;</p> <p>ბ) შესანახი რეზერვუარები, კონტეინერები ან მიმღებები, 0.1 მ3-ზე (100 ლიტრზე) მეტი სრული შიდა (გეომეტრიული) მოცულობით, სადაც ყველა ის ზედაპირი, რომელიც უშუალო კონტაქტში მოდის დასამუშავებელ ან შესანახ ქიმიკატთან (ქიმიკატებთან), დამზადებულია რომელიმე შემდეგი მასალისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. (წონის მიხედვით) 25%-ზე მეტი ნიკელის და 20%-ზე მეტი ქრომის შემცველი შენადნობებისაგან; 2. ფტოროპოლიმერებისაგან; 3. მინისაგან (გამინებული ან დაფენილი დანაფარების ან მინით შემტკიცვის ჩათვლით); 4. ნიკელისაგან ან (წონის მიხედვით) 40%-ზე მეტი ნიკელის შემცველი შენადნობებისაგან; 5. ტანტალისაგან ან ტანტალის შენადნობებისაგან; 6. ტიტანისაგან ან ტიტანის შენადნობებისაგან; 7. ცირკონიუმისაგან ან ცირკონიუმის შენადნობებისაგან; <p>გ) უსაფრთხო და მედეგი აზოტმჟავას კოროზიული ზემოქმედების მიმართ;</p> <p>შენიშვნა: დამჭერ ან შემნახველ კორპუსებს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი თავისებურებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კედლებისა და შიდა სტრუქტურების ბორის ეკვივალენტები შეადგენენ სულ მცირე ორ პროცენტს; 2. ცილინდრული ფორმის კორპუსების მაქსიმალური დიამეტრი ტოლია 175 მმ-ის; 3. პანელური ან წრიული ფორმის კორპუსისათვის მაქსიმალური სიგანე 75 მმ-ია.
7310	ცისტერნები, კასრები, დოლები, კანისტრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები, შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა) არა უმეტეს 300 ლ ტევადობისა, მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების გარეშე
7310 10 000 00	– ტევადობით 50 ლ ან მეტი
	<p>იგულისხმება:</p> <p>ა) შესანახი რეზერვუარები, კონტეინერები ან მიმღებები, 0.1 მ3-ზე (100 ლიტრზე) მეტი სრული შიდა (გეომეტრიული) მოცულობით, (აგრეთვე რეაქტორის კორპუსები ან რეაქტორები, შემრეველით ან შემრეველის გარეშე, 0.1 მ3-ზე (100 ლიტრზე) მეტი და 20-მ3 ზე (20000 ლიტრზე) ნაკლები სრული შიდა (გეომეტრიული) მოცულობით), სადაც ყველა ის ზედაპირი, რომელიც უშუალო კონტაქტში მოდის დასამუშავებელ ან შესანახ ქიმიკატთან (ქიმიკატებთან), დამზადებულია რომელიმე შემდეგი მასალისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. (წონის მიხედვით) 25%-ზე მეტი ნიკელის და 20%-ზე მეტი ქრომის შემცველი შენადნობებისაგან; 2. ფტოროპოლიმერებისაგან; 3. მინისაგან (გამინებული ან დაფენილი დანაფარების ან მინით შემტკიცვის ჩათვლით); 4. ნიკელისაგან ან (წონის მიხედვით) 40%-ზე მეტი ნიკელის შემცველი შენადნობებისაგან; 5. ტანტალისაგან ან ტანტალის შენადნობებისაგან; 6. ტიტანისაგან ან ტიტანის შენადნობებისაგან; 7. ცირკონიუმისაგან ან ცირკონიუმის შენადნობებისაგან; <p>ბ) დამჭერი ან შემნახველი კორპუსები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი, რომ იყვნენ კრიტიკულად უსაფრთხო და მედეგი აზოტმჟავას კოროზიული ზემოქმედების მიმართ;</p> <p>შენიშვნა: დამჭერ ან შემნახველ კორპუსებს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი თავისებურებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კედლებისა და შიდა სტრუქტურების ბორის ეკვივალენტები შეადგენენ სულ მცირე ორ პროცენტს; 2. ცილინდრული ფორმის კორპუსების მაქსიმალური დიამეტრი ტოლია 175 მმ-ის; 3. პანელური ან წრიული ფორმის კორპუსისათვის მაქსიმალური სიგანე 75 მმ-ია.
7311 00	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის, შავი ლითონებისაგან
	იგულისხმება:

ა) ქიმიური მრეწველობის დამხმარე ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობა, როგორცაა: შესანახი რეზერვუარები, კონტეინერები ან მიმღებები, 0.1 მ3-ზე (100 ლიტრზე) მეტი სრული შიდა (გეომეტრიული) მოცულობით, სადაც ყველა ის ზედაპირი, რომელიც უშუალო კონტაქტში მოდის ქიმიური მრეწველობის დამხმარე ტექნიკურ საშუალებებსა და მოწყობილობებთან, როგორცაა: დასამუშავებელი ან შესანახი ქიმიკატები (ქიმიკატებთან), დამზადებულია რომელიმე შემდეგი მასალისაგან:

1. (წონის მიხედვით) 25%-ზე მეტი ნიკელის და 20%-ზე მეტი ქრომის შემცველი შენადნობებისაგან;
2. ფტოროპოლიმერებისაგან;
3. მინისაგან (გამინებული ან დაფენილი დანაფარების ან მინით შემტკიცვის ჩათვლით);
4. ნიკელისაგან ან (წონის მიხედვით) 40%-ზე მეტი ნიკელის შემცველი შენადნობებისაგან;
5. ტანტალისაგან ან ტანტალის შენადნობებისაგან;
6. ტიტანისაგან ან ტიტანის შენადნობებისაგან;
7. ცირკონიუმისაგან ან ცირკონიუმის შენადნობებისაგან;

ბ) სისტემები და კომპონენტები, რომლებიც სპეციალურად არიან შექმნილი თხევადსაწვავიანი რეაქტიული გადაადგილების სისტემებისათვის, როგორცაა: თხევადი წყალბადის ნარევის შენახვის ან გადაქაჩვის სისტემები.

ჯგუფი 75

ნიკელი და ნაკეთები მისგან

7502	ნიკელი დაუმუშავებელი
7502 20 000 00	– ნიკელის შენადნობები
7503 00	ნიკელის ნარჩენები და ჯართი
7503 00 900 00	– ნიკელის შენადნობებისაგან
7504 00 000 00	ნიკელის ფხვნილები და ქერცლი
7505	ნიკელის წნელები, პროფილები და მავთული
7505 12 000 00	– ნიკელის შენადნობებისაგან
7508	ნიკელის ნაკეთები დანარჩენი
7508 10 000 00	– ქსოვილი, გისოსები და ბადეები ნიკელის მავთულისაგან
7508 90 000 00	– დანარჩენი

იგულისხმება ნიკელის ფხვნილი და ფოროვანი მეტალური ნიკელი, როგორცაა: ფოროვანი მეტალური ნიკელი, რომელიც დამზადებულია ნიკელის ფხვნილისაგან, ორივე შემდეგი მახასიათებლით:

1. ნიკელის სისუფთავე (წონის მიხედვით) არის 99.0 % ან მეტი ნიკელის შემცველობა;
2. ნაწილაკების საშუალო ზომა 100 მიკრონზე ნაკლებია.

ჯგუფი 76

ალუმინი და ნაკეთები მისგან

7601	ალუმინი დაუმუშავებელი
7601 20	– ალუმინის შენადნობები
7603	ალუმინის ფხვნილები და ქერცლი
7603 10 000 00	– არაფენოვანი სტრუქტურების ფხვნილები
7603 20 000 00	– ფენოვანი სტრუქტურების ფხვნილები; ქერცლი
7604	ალუმინის წნელები და პროფილები
7604 29 100 00	– წნელები
7608	ალუმინის მილები და მილაკები
7608 20	– ალუმინის შენადნობებისაგან

ჯგუფი 81

დანარჩენი არამვირფასი ლითონები; ლითონკერამიკა; მათი ნაწარმი

8101	ვოლფრამი და მისი ნაკეთები, ნარჩენებისა და ჯართის ჩათვლით
8101 10 000 00	– ფხვნილები
8101 99	– დანარჩენი

8101 99 100 00	--- წნელები, უბრალო შეცხობით დამზადებულის გარდა, პროფილები, ფილები, ფურცლები, ზოლები, ლენტები და კილიტა
8101 99 900 00	--- დანარჩენი
<p>იგულისხმება ვოლფრამი, ვოლფრამის კარბიდი და ვოლფრამის შენადნობები, რომლებიც შეიცავენ (წონის მიხედვით) 90 %-ზე მეტ ვოლფრამს, ორივე შემდეგი მახასიათებლით:</p> <p>ა. ცილინდრული სიმეტრიის დრუ ფორმებში (ცილინდრის სეგმენტების ჩათვლით), შიდა დიამეტრი 100 მმ-სა და 300 მმ-ს შორისაა;</p> <p>ბ. აქვთ 20 კგ-ზე მეტი მასა;</p> <p>და/ან ვოლფრამის შენადნობები, მატრიცით რკინის, ნიკელის ან სპილენძის ფუძეზე, ყველა შემდეგი მახასიათებლით:</p> <p>ა. 17.5 გ/სმ³-ზე მეტი სიმკვრივით;</p> <p>ბ. 800 მგპა-ზე მეტი დრეკადობის ზღვრით;</p> <p>გ. 1270 მგპა-ზე მეტი ზღვრული სიმტკიცით ჭიმვაზე;</p> <p>დ. 8%-ზე მეტი დაგრძელებადობით.</p>	
8103	ტანტალი და მისი ნაკეთები, ნარჩენების და ჯართის ჩათვლით
8103 20 000 00	- ტანტალი დაუმუშავებელი, უბრალო შეცხობით დამზადებული წნელების ჩათვლით; ფხვნილები
8103 30 000 00	- ნარჩენები და ჯართი
8103 90	- დანარჩენი
8103 90 100 00	--- წნელები, უბრალო შეცხობით დამზადებულის გარდა, პროფილები, ფილები, ფურცლები, ზოლები, ლენტები და კილიტა
8103 90 900 00	--- დანარჩენი
<p>იგულისხმება ტიგელები, ყველა შემდეგი მახასიათებლით:</p> <p>1. მათი მოცულობა 50 სმ³-სა და 2000 სმ³-ს შორისაა;</p> <p>2. დამზადებული ან შემტკიცული არიან (წონის მიხედვით) 98%-იანი ან უფრო მაღალი სისუფთავის ტანტალისაგან;</p> <p>3. დაფარული არიან ტანტალის კარბიდით, ნიტრიდით, ბორიდით ან მათი რაიმე კომბინაციით.</p>	
8104	მაგნიუმი და მისი ნაკეთები, ნარჩენებისა და ჯართის ჩათვლით
8104 11 000 00	--- მაგნიუმის შემცველობით არანაკლებ 99,8 მას. %-ისა
8104 30 000 00	- ნახერხი, ბურბუშელა და გრანულები, დახარისხებული ზომების მიხედვით; ფხვნილები
8104 90 000 00	- დანარჩენი
8105	კობალტის შტეინი და კობალტის მეტალურგიის დანარჩენი შუალედური პროდუქტები; კობალტი და მისი ნაკეთები, ნარჩენების და ჯართის ჩათვლით
8106 00	ბისმუთი და მისი ნაკეთები, ნარჩენებისა და ჯართის ჩათვლით
8107	კადმიუმი და მისი ნაკეთები, ნარჩენებისა და ჯართის ჩათვლით
8107 90 000 00	- დანარჩენი
